



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე



ბრძანება:ბ49.49221251

თარიღი:05/05/2022

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების

მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის

ნონა კობერიძის შვებულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი, მესამე და მეოთხე პუნქტების, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. **ნონა კობერიძეს** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს, ნება დაერთოს ისარგებლოს 2021 წლის განმავლობაში გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულებით, 10 სამუშაო დღე, 2022 წლის 6 მაისიდან 23 მაისის ჩათვლით.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტის ნონა კობერიძის ფუნქციების შესრულება, დროებით დაეკისროს ამავე განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს **ლელა ბერძენიშვილს**.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს საშვებულებო თანხისა და ლელა ბერძენიშვილისათვის დამატებითი ფუნქციის შესრულებისათვის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში სახელფასო დანამატის მიცემა.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

